MED EL

გაკვეთილების კრებული

09 ის, რასაც ვჭამთ



გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. მიყვარს

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. რას შეჭამ?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. ჰანა ჭამს ძეხვეულს

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ის, რასაც ჩვენ ვჭამთ: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მიყვარს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 ა1 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საკვები • იწყებს უარყოფის გაგებას · არ	• აკეთებს საკვების აღნიშვნას • იყენებს: კი/არა	• ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ
რას შეჭამ? **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4	• მიჰყვება ერთ ზმნიან მითითებებს	• იყენებს სიტყვებს საკვების მიმართებაში • აკეთებს საკვების აღნიშვნას	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს
გააკეთეთ საჭმლის თეფში. **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საკვები · ჭურჭელი • იგებს მნიშვნელობას: ჩემი, შენი	• გამოთქვამს საკვების სახელებს • აკეთებს აღნიშვნას: თეფში, ჭურჭელი	• ესმის სიტყვის მნიშვნელობა "სხვა"
ჰანა ჭამს ძეხვეულს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4	• ითვისებს წიგნს	• იმეორებს ცალკეულ სიტყვებს ყოველი წინადადებიდან • ცდილობს წარმოთქვას დასახელებები	• უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ის, რასაც ჩვენ ვჭამთ: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მიყვარს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ2 დ3 ა1 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · საკვები • ხვდება უარყოფით გამოხატვას: არ ქნა	• აკეთებს საკვების აღნიშვნას • სვამს და პასუხობს "კი ან არა" კითხვებ-ს(ზე) • იყენებს კავშირს: და	• ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ.
რას შეჭამ? **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება ორ ზმნიან მითითებებს • იგებს აღწერილობებს: საკვები	• აერთიანებს სიტყვებს, რათა ისაუბროს იმაზე, თუ რომელი საკვები პროდუქტი რომელი საჭმლისთვის არის განკუთვნილი	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს
გააკეთეთ საჭმლის თეფში. **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ადამიანები	• იგებს ადამიანების აღწერილობებს • ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · სახელი + საკვები	• აერთიანებს სახელს + საკვები • აერთიანებს ზმნას: უნდა + საკვები პროდუქტები	• იყენებს ზმნას: იფიქრე, სხვისი საჭიროებების/ სურვილების პროგნოზირებისას
ჰანა ჭამს ძეხვეულს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4	• ითვისებს წიგნს • მიჰყვება გვერდის გადაფურცვლის მითითებას	• იმეორებს სიტყვებს ისტორიიდან • ავითარებს ზმნების სიტყვების მარაგს	• უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ის, რასაც ჩვენ ვჭამთ: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მიყვარს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ2 დ3 ა1 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · საკვები	• აკეთებს საკვების აღნიშვნას • სვამს და პასუხობს "კი ან არა" კითხვებ-ს(ზე) • იყენებს კავშირს: მაგრამ	• ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ
რას შეჭამ? **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება რთულ ინსტრუქციებს • იგებს აღწერილობებს: საკვები	• იყენებს მომავალ დროს, რომ ისაუბროს იმაზე, თუ ვინ რას შეჭამს • იყენებს "-თვის"	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს
გააკეთეთ საჭმლის თეფში. **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ2 დ3 ა3 ადამიანები	• იგებს ადამიანების აღწერილობებს • იგებს მნიშვნელობას პირველი/მეორე • ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · სახელი + საკვები და საკვები	• ამთხვევს ზმნას საგანთან • იყენებს მრავლობით რიცხვებს	• იყენებს ზმნას: იფიქრე, სხვისი საჭიროებების/ სურვილების პროგნოზირებისას
ჰანა ჭამს ძეხვეულს **რესურსები** • ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4	• იმეორებს სიტყვებს წიგნიდან	• მოთხრობიდან წინადადებების გამეორებისას იყენებს მრავლობით რიცხვებს და მესამე პირის ზმნებს.	• უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მიყვარს

მომზადება

ამობეჭდეთ დ1 ა1 პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა 3 ეგზემპლარად.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 ა1
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა

თქვენ რიგრიგობით უნდა აიღოთ საკვები პროდუქტის ბარათი და განათავსოთ იგი თქვენს დახარისხების დაფაზე.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი საკვები პროდუქტია გამოსახული ბარათზე.
3. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ დახარისხების დაფა და უთხარით ბავშვს აიღოს ერთი ცალი. მას შეუძლია მამას უთხრას, რომ მანაც აიღოს ერთი ცალი.
5. აიღეთ პირველი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით რა არის მასზე გამოსახული.
6. შემდეგ თქვით, მოგწონთ თუ არ მოგწონთ და განათავსეთ თქვენს დახარისხების დაფაზე.
7. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს ბარათს, აღნიშნავს მას და და წყვეტს მოსწონს თუ არა.
8. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: საკვები; მაგალითად სიმინდი, თევზი.
- იწყებს უარყოფის გაგებას; მაგალითად: არ.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფი ბავშვი ყურადღებას აქცევს მის მიერ მოსმენილ ბოლო სიტყვას, ამიტომ გაუადვილეთ მას უარყოფითის გაგება და დასვით იგი წინადადების ბოლოს. მე მსხალი არ მიყვარს. არა. მე ნამდვილად არ მომწონს.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს საკვების აღნიშვნას; მაგალითად სიმინდი, თევზი.
- იყენებს კი/არა.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: პირველ დონეზე მყოფმა ბავშვმა შეიძლება ვერ შეძლოს ბარათზე გამოსახული საკვები პროდუქტის სპონტანურად მონიშვნა. მიაწოდეთ ბავშვს კოპირების მოდელი და თუ ის ვერ შეძლებს საკვები პროდუქტის გამეორებას, გამოიყენეთ აკუსტიკური სენდვიჩის მეთოდი; წარმოთქვით საგანი, მიეცით ბავშვს ბარათზე შეხედვის საშუალება, შემდეგ კი კვლავ გაიმეორეთ სიტყვა.

გამოიყენეთ ვარიანტები: გამოიყენეთ ბარათი და ჰკითხეთ ბავშვს, მოსწონს მას თუ არა ეს კონკრეტული საკვები და შემდეგ სთხოვეთ მამას, დაეხმაროს ბავშვს პასუხის გაცემაში, ჯერ აჩვენოს ბედნიერი სახე და შემდეგ ჩაფიქრებული სახე, როგორც პასუხის არჩევის მოდელი;კი თუ არა?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული საკვები პროდუქტის დაფაზე დადებისას, შეგიძლიათ ერთმანეთს დაუსვათ კითხვები, რათა შეამოწმოთ, დადო თუ არა ყველამ ეს პროდუქტი ერთსა და იმავე ადგილზე. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ ვინ სად დადო ეს პროდუქტი. მე მიყვარს ბანანი, ასე რომ აქ დავდე. მამას არ უყვარს ბანანი, ასე რომ, ის იქ დადებს. შენ გიყვარს ბანანი?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მიყვარს

მომზადება

ამობეჭდეთ d2 d3 ა1 პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ d1 d2 d3 დახარისხების დაფა 3 ეგზემპლარად.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - d2 d3 ა1
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - d1 d2 d3 დახარისხების დაფა
- მაკრატელი

თქვენ რიგრიგობით უნდა აიღოთ საკვები პროდუქტის ბარათი და განათავსოთ იგი თქვენს დახარისხების დაფაზე.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით საკვების ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი საკვები პროდუქტია გამოსახული ბარათზე.
3. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ დახარისხების დაფა და უთხარით ბავშვს აიღოს ერთი ცალი. მას შეუძლია მამას უთხრას, რომ მანაც აიღოს ერთი ცალი.
5. აიღეთ ზედა ორი ბარათი დასტადან და სურათების ჩვენების გარეშე თქვით, რა არის ზედ გამოსახული. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს სიტყვები.
6. შემდეგ თქვით, მოგწონთ თუ არ მოგწონთ და განათავსეთ თქვენს დახარისხების დაფაზე.
7. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს ორ ბარათს, აღნიშნავს მათ და და წყვეტს მოსწონს თითოეული თუ არა.
8. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: საკვები; მაგალითად სიმინდი და თევზი.
- იგებს უარყოფის მნიშვნელობას; მაგალითად: არ.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როდესაც საუბრობთ იმაზე, მოგწონთ თუ არა საჭმელი, დაელოდეთ და ნახეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი დასახარისხებელ დაფაზე შესაბამისი ადგილის ჩვენებას და ესმის თუ არა უარყოფითი. მე არ მიყვარს კვერცხი.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს საკვების აღნიშვნას.
- სვამს და პასუხობს "კი ან არა" კითხვებ-ს(ზე)
- იყენებს კავშირს: და.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი მეხსიერების შექმნა: წაახალისეთ ბავშვი კიდევ ერთხელ გაიმეოროს ორივე საკვები პროდუქტი. თუ ის მხოლოდ ერთ-ერთს გაიმეორებს, სთხოვეთ დაიცადოს სანამ თქვენ კიდევ ერთხელ გაიმეორებთ ორივე პუნქტს, ოღონდ ამჯერად მის მიერ გამოტოვებულ სიტყვაზე აკუსტიკური აქცენტირებით. თუ მას კვლავ მხოლოდ ერთ-ერთის გამეორება შეუძლია, გამოიყენეთ სმენითი სენდვიჩის მეთოდი; წარმოთქვით საგანი, მიეცით ბავშვს ბარათებზე შეხედვის საშუალება, შემდეგ ისევ დამალეთ ბარათები და კვლავ გაიმეორეთ სიტყვები.

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ვარიანტებიანი შეკითხვის მოდელი, რომელიც მან უნდა ჰკითხოს მამას; კარგი, მოდი შენ ჰკითხე მამას ერთი და მე ვკითხავ მეორეს. შენ აპირებ ჰკითხო: შენ ბანანი გიყვარს? თუ შენ ბარდა გიყვარს?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული საკვები პროდუქტის დაფაზე დადებისას, შეგიძლიათ ერთმანეთს დაუსვათ კითხვები, რათა შეამოწმოთ, დადო თუ არა ყველამ ეს პროდუქტი ერთსა და იმავე ადგილზე. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ ვინ სად დადო ეს პროდუქტი. მე მიყვარს ბანანი, ასე რომ აქ დავდე. მამას არ უყვარს ბანანი, ასე რომ, ის იქ დადებს. და შენ? შენ გიყვარს ბანანი?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მიყვარს

მომზადება

ამობეჭდეთ დ2 დ3 ა1 პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა 3 ეგზემპლარად.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ2 დ3 ა1
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა
- მაკრატელი

თქვენ რიგრიგობით უნდა აიღოთ საკვები პროდუქტის ბარათი და განათავსოთ იგი თქვენს დახარისხების დაფაზე.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით საკვების ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი საკვები პროდუქტია გამოსახული ბარათზე.
3. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ დახარისხების დაფა და უთხარით ბავშვს აიღოს ერთი ცალი. მას შეუძლია მამას უთხრას, რომ მანაც აიღოს ერთი ცალი.
5. აიღეთ ზედა სამი ბარათი დასტადან და სურათების ჩვენების გარეშე თქვით, რა არის ზედ გამოსახული. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს სიტყვები.
6. შემდეგ თქვით, რომელი მოგწონთ და რომელი არ მოგწონთ და განათავსეთ თქვენს დახარისხების დაფაზე.
7. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს ორ ბარათს, აღნიშნავს მათ და და წყვეტს მოსწონს თითოეული თუ არა.
8. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: საკვები; მაგალითად სიმინდი თხილი და თევზი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

სმენითი მეხსიერების შექმნა : თავდაპირველად ბავშვისთვის შეიძლება ძნელი იყოს სამი საგნის გახსენება. ჰკითხეთ ბავშვს, რა ახსოვს, ხოლო შემდეგ გაიმეორეთ ის, რაც მან გამოტოვა აკუსტიკური აქცენტირებით. ჯერ სცადეთ მეთოდით "ყურადღებით მოუსმინე", შემდეგ კი გამოიყენეთ "სმენითი სენდვიჩი" და სთხოვეთ მას შეხედოს ბარათებს, შემდეგ ისევ გაიმეორეთ.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს საკვების აღნიშვნას; მაგალითად სიმინდი, თხილი და თევზი.
- სვამს და პასუხობს "კი ან არა" კითხვებ-ს(ზე)
- იყენებს კავშირს: მაგრამ.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ვარიანტებიანი შეკითხვის მოდელი, რომელიც მან უნდა ჰკითხოს მამას; კარგი, მოდი შენ ჰკითხე მამას ერთი და მე ვკითხავ მეორეს. შენ აპირებ ჰკითხო: შენ ბანანი გიყვარს? თუ შენ ბარდა გიყვარს?

გავრცობა და განგრძობა: ასწავლეთ ბავშვს როგორ უნდა დააკავშიროთ აზრები: მე მიყვარს სიმინდი და თხილი, მაგრამ თევზი არ მიყვარს.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონთ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული საკვები პროდუქტის დაფაზე დადებისას, შეგიძლიათ ერთმანეთს დაუსვათ კითხვები, რათა შეამოწმოთ, დადო თუ არა ყველამ ეს პროდუქტი ერთსა და იმავე ადგილზე. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ ვინ სად დადო ეს პროდუქტი. იმისათვის, რომ ბავშვმა გონების თეორიის უნარები განავითაროს, გამოიყენეთ სიტყვები:მგონი, ვფიქრობ, ვიცი და მახსოვს. მე ვიცი რომ მიყვარს ბანანი, ასე რომ აქ დავდე. მე მგონი შენს მამას არ უყვარს ბანანი, ასე რომ, ის იქ დადებს. მახსოვს, შენ თქვი, რომ ბანანი გიყვარს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მიყვარს

ვაშლი



ბანანი



მსხალი



სტაფილო



სიმინდი

ლობიო



კვერცხი

თევზი



ქათამი

ბატი-ბუტი



ორცხობილა



ჩიპსი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მიყვარს



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მიყვარს



მიყვარს.

არ მიყვარს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მიყვარს

 ვაშლი	 ბანანი	 მსხალი	 ფორთოხალი
 სტაფილო	 სიმინდი	ლობიო	ხახვი
 კვერცხი	თევზი	 ქათამი	 საქონლის ხორცი
ბატი-ბუტი	 ორცხობილა	ჩიპსი	 თხილი
ატრია	ბრინჯი	 პური	 კრეკერი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მიყვარს



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რას შეჭამ?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. ამოჭერით "ქაღალდის მარჩიელი" ისე, რომ შეინარჩუნოთ დაკეცვის ინსტრუქცია.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა2

თქვენ უნდა გააკეთოთ "ქაღალდის მარჩიელი" და შემდეგ ითამაშოთ, რომ იპოვოთ პასუხი კითხვაზე "რას შეჭამ?"

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ "ქაღალდის მარჩიელი" ინსტრუქციის შესაბამისად.
2. შეხედეთ საკვების ფერად კვადრატებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.
3. ჩამოაცვით თითებზე საკვების სურათებიანი კვადრატებისგან გაკეთებული ჯიბეები და სთხოვეთ ბავშვის დედას, აირჩიოს კერძი.
4. დაუსვით კითხვა „რას შეჭამ?“ და გახსენით ქაღალდის მარჩიელი.
5. დედა ირჩევს იმ ციფრს, რომელსაც შიგნით ხედავს.
6. თქვენ აკეთებთ რამდენიმე მოძრაობას საჩვენებელი და ცერა თითების გახსნა-დახურვით. გაჩერდით კონკრეტულ ციფრზე.
7. შემდეგ დედა აირჩევს სხვა ნომერს, თქვენ კი უნდა გამოიღოთ თითები ქაღალდის მარჩიელიდან და ამ ნომრის ქვეშ ჩაიხედოთ.
8. გამოაცხადეთ, რას შეჭამს დედა.
9. დედა იღებს ქაღალდის მარჩიელს და ბავშვთან ერთად ყველა ზემოთ აღნიშნულ მოქმედებებს ასრულებს.
10. ბავშვი იღებს ქაღალდის მარჩიელს და იწყებს ზემოთ აღნიშნული მოქმედებების შესრულებას.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება ერთ ზმნიან მითითებებს; e.g. დაკეცე, დააწექი, გააღე, დახურე.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში ქაღალდის მარჩიელი საშუალებას გაძლევთ აღნიშნოთ ზმნები. დაკეცვა და დაწოლა. თამაშის დროს თქვენ გაიმეორებთ გახსენი და გახურე მკითხავის გადაადგილდებით.

ყურადღებით მოუსმინე: კითხვაზე პასუხის გასაგებად ციფრზე შეხედვისას, დამალეთ სურათი და სანამ ბავშვს აჩვენებთ, ჯერ ისაუბრეთ ამ საკვებზე. დედა მაკარონს შეჭამს... ნახე მაკარონი. მაკარონი სადილისთვისაა.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს სიტყვებს საკვების მიმართებაში.
- აკეთებს საკვების აღნიშვნას.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: ვარიანტებიან კითხვაში ახალი სიტყვების გამოყენებით, თქვენ დაეხმარებით პირველ დონეზე მყოფ ბავშვს შეიძინოს სიტყვათა მარაგი. შენ გინდა აირჩიო საუზმე ან სადილი? წასახემსი თუ ვახშამი?

მომიახლოვდი: ქაღალდის მარჩიელი მოუწოდებს მთქმელს და მსმენელებს, ახლოს დასხდნენ ერთმანეთთან, რათა ყველამ დაინახოს თითების მოძრაობები, ციფრების შეცვლა და ბოლოს, სურათები. სასიამოვნო, წყნარი ოთახი იდეალური პირობაა მოსასმენად და ბუნებრივია ყურადღება გამახვილებული იქნება უფრო მოსმენაზე და ქაღალდის მარჩიელზე, ვიდრე ტუჩებიდან კითხვაზე.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ამ თამაშში შეგიძლიათ იყოთ ან ამომრჩევი ან მთქმელი. აღნიშნეთ თითოეულის როლი, რომ ბავშვმა იცოდეს რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისი ჯერი მოვა. ახლა შენი დედიკო მთქმელია, შენ კი ამომრჩევი ხარ. დედა ამას დაიჭერს, შენ კი უნდა აირჩიო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რას შეჭამ?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. ამოჭერით "ქაღალდის მარჩიელი" ისე, რომ შეინარჩუნოთ დაკეცვის ინსტრუქცია.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა2

თქვენ უნდა გააკეთოთ "ქაღალდის მარჩიელი" და შემდეგ ითამაშოთ, რომ იპოვოთ პასუხი კითხვაზე "რას შეჭამ?"

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ "ქაღალდის მარჩიელი" ინსტრუქციის შესაბამისად.
2. შეხედეთ საკვების ფერად კვადრატებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.
3. ჩამოაცვით თითებზე საკვების სურათებიანი კვადრატებისგან გაკეთებული ჯიბეები და სთხოვეთ ბავშვის დედას, აირჩიოს კერძი.
4. დაუსვით კითხვა „რას შეჭამ?“ და გახსენით ქაღალდის მარჩიელი.
5. დედა ირჩევს იმ ციფრს, რომელსაც შიგნით ხედავს.
6. თქვენ აკეთებთ რამდენიმე მოძრაობას საჩვენებელი და ცერა თითების გახსნა-დახურვით. გაჩერდით კონკრეტულ ციფრზე.
7. შემდეგ დედა აირჩევს სხვა ნომერს, თქვენ კი უნდა გამოიღოთ თითები ქაღალდის მარჩიელიდან და ამ ნომრის ქვეშ ჩაიხედოთ.
8. გამოაცხადეთ, რას შეჭამს დედა.
9. დედა იღებს ქაღალდის მარჩიელს და ბავშვთან ერთად ყველა ზემოთ აღნიშნულ მოქმედებებს ასრულებს.
10. ბავშვი იღებს ქაღალდის მარჩიელს და იწყებს ზემოთ აღნიშნული მოქმედებების შესრულებას.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება ორ ზმნიან მითითებებს; e.g. დაკეცე და დააწექი, გადმოატრიალე და დააჭირე.
- იგებს აღწერილობებს; საკვები; მაგალითად ეს ყვითელი ხილია.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში ქაღალდის მარჩიელი საშუალებას გაძლევთ აღნიშნოთ ზმნები. დაკეცვა და დაწოლა. თამაშის დროს თქვენ გაიმეორებთ გახსენი და გახურე მკითხავის გადაადგილდებით.

ყურადღებით მოუსმინე: კითხვაზე პასუხის გასაგებად ციფრზე შეხედვისას, დამალეთ სურათი და სანამ ბავშვს აჩვენებთ, ჯერ ისაუბრეთ ამ საკვებზე. ნახეთ, შეუძლია თუ არა ბავშვს მარტივი აღწერით გამოცნობა. შენ გჭირდება 2 ნაჭერი სენდვიჩის დასამზადებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს სიტყვებს, რათა ისაუბროს იმაზე, თუ საკვები პროდუქტი რომელი საჭმლისთვის არის განკუთვნილი; მაგალითად: ბანანი ვახშმისთვის.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შეამოწმეთ თუ რა ლექსიკას იყენებს ოჯახი, შესთავაზეთ ალტერნატივები ვარიანტებით. შენ ამბობ სადილს თუ ლანჩს? ამას რას ეძახი; წასახემსი თუ საცმაცუნო?

მომიახლოვდი: ქაღალდის მარჩიელი მოუწოდებს მთქმელს და მსმენელებს, ახლოს დასხდნენ ერთმანეთთან, რათა ყველამ დაინახოს თითების მოძრაობები, ციფრების შეცვლა და ბოლოს, სურათები. სასიამოვნო, წყნარი ოთახი იდეალური პირობაა მოსასმენად და ბუნებრივია ყურადღება გამახვილებული იქნება უფრო მოსმენაზე და ქაღალდის მარჩიელზე, ვიდრე ტუჩებიდან კითხვაზე. საკვების გამოცხადებისას, შესთავაზეთ სალაპარაკო ენის მოდელი. ოჰ, საუზმეზე პიცა გაქვს. სახალისოა.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ამ თამაშში შეგიძლიათ იყოთ ან ამომრჩევი ან მთქმელი. აღნიშნეთ თითოეულის როლი, რომ ბავშვმა იცოდეს რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისი ჯერი მოვა. ახლა შენი დედიკო მთქმელია, შენ კი ამომრჩევი ხარ. დედა ამას დაიჭერს, შენ კი უნდა აირჩიო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რას შეჭამ?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. ამოჭერით "ქაღალდის მარჩიელი" ისე, რომ შეინარჩუნოთ დაკეცვის ინსტრუქცია.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა2

თქვენ უნდა გააკეთოთ "ქაღალდის მარჩიელი" და შემდეგ ითამაშოთ, რომ იპოვოთ პასუხი კითხვაზე "რას შეჭამ?"

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ "ქაღალდის მარჩიელი" ინსტრუქციის შესაბამისად.
2. შეხედეთ საკვების ფერად კვადრატებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.
3. ჩამოაცვით თითებზე საკვების სურათებიანი კვადრატებისგან გაკეთებული ჯიბეები და სთხოვეთ ბავშვის დედას, აირჩიოს კერძი.
4. დაუსვით კითხვა „რას შეჭამ?“ და გახსენით ქაღალდის მარჩიელი.
5. დედა ირჩევს იმ ციფრს, რომელსაც შიგნით ხედავს.
6. თქვენ აკეთებთ რამდენიმე მოძრაობას საჩვენებელი და ცერა თითების გახსნა-დახურვით. გაჩერდით კონკრეტულ ციფრზე.
7. შემდეგ დედა აირჩევს სხვა ნომერს, თქვენ კი უნდა გამოიღოთ თითები ქაღალდის მარჩიელიდან და ამ ნომრის ქვეშ ჩაიხედოთ.
8. გამოაცხადეთ, რას შეჭამს დედა.
9. დედა იღებს ქაღალდის მარჩიელს და ბავშვთან ერთად ყველა ზემოთ აღნიშნულ მოქმედებებს ასრულებს.
10. ბავშვი იღებს ქაღალდის მარჩიელს და იწყებს ზემოთ აღნიშნული მოქმედებების შესრულებას.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება რთულ ინსტრუქციას; მაგალითად დაკეცე კვადრატი კუთხედან კუთხემდე..
- ესმის აღწერილობის მნიშვნელობა; საკვები; მაგალითად ეს არის ხილი, ის გრძელია და ოდნავ მოღუნულია.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში, ქაღალდის მარჩიელის დამზადება საშუალებას გაძლევთ, რომ ასწავლოთ ბავშვს, დაიცვას ქაღალდის მარჩიელზე დაბეჭდილი ინსტრუქცია.

ყურადღებით მოუსმინე: კითხვაზე პასუხის გასაგებად ციფრზე შეხედვისას, დამალეთ სურათი და სანამ ბავშვს აჩვენებთ, ჯერ ისაუბრეთ ამ საკვებზე. ნახეთ, შეუძლია თუ არა ბავშვს აბსტრაქტული აღწერით გამოცნობა. შენ გჭირდება ამის 2 ნაჭერი სენდვიჩის დასამზადებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს მომავალ დროს, რომ ისაუბროს იმაზე, თუ ვინ რას შეჭამს; მაგალითად: შენ შეჭამ პიცას.
- იყენებს "სადილის-ზე" .

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ქაღალდის მარჩიელი მოუწოდებს მთქმელს და მსმენელებს, ახლოს დასხდნენ ერთმანეთთან, რათა ყველამ დაინახოს თითების მოძრაობები, ციფრების შეცვლა და ბოლოს, სურათები. სასიამოვნო, წყნარი ოთახი იდეალური პირობაა მოსასმენად და ბუნებრივია ყურადღება გამახვილებული იქნება უფრო მოსმენაზე და ქაღალდის მარჩიელზე, ვიდრე ტუჩებიდან კითხვაზე. საკვების გამოცხადებისას, შესთავაზეთ სალაპარაკო ენის მოდელი. ოჰ, საუზმეზე პიცას შეჭამ. რა სახალისოა.

გამოიყენეთ ვარიანტები: გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება თანდებულზე "-ზე", ამისათვის ვარიანტებიან კითხვაში იგი ორჯერ გამოიყენეთ, რომ ბავშვისთვის უფრო ადვილი იყოს მისი გამოყენება თავის პასუხში. შენ თქვი, რომ დედა პიცას შეჭამს სადილზე თუ საუზმეზე?

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ამ თამაშში შეგიძლიათ იყოთ ან ამომრჩევი ან მთქმელი. აღნიშნეთ თითოეულის როლი, რომ ბავშვმა იცოდეს რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისი ჯერი მოვა. ახლა შენი დედიკო მთქმელია, შენ კი ამომრჩევი ხარ. დედა ამას დაიჭერს, შენ კი უნდა აირჩიო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. რას შექამ?



1. დაკეცეთ ქაღალდის კვადრატი კუთხედან კუთხემდე. გაშალეთ ქაღალდი დაკეცვის ადგილების სანახავად.





ბატი-ბუტი

ორცხობილა

3. გადააბრუნეთ ქაღალდი და დაკეცეთ კუთხეები შუა ნაკეცისკენ.



ჩიპსი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. დაბეჭდეთ ყველასთვის საკმარისი თეფშებისა და ჭურჭლის რაოდენობა. ამოჭერით ჭურჭელი.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი
- საბავშვო მაკრატელი და წებო

თქვენ უნდა გააკეთოთ საჭმლის თეფში.

1. აიღეთ თეფში და უთხარით ბავშვს აიღოს ერთი ცალი.
2. მას შეუძლია მამას უთხრას, რომ მანაც აიღოს ერთი ცალი.
3. თითოეული თქვენგანი აირჩევს ჭურჭელს სურვილისამებრ და განათავსებთ თქვენს თეფშებთან.
4. რიგრიგობით აირჩიეთ საკვები პროდუქტები მთავარი გვერდიდან, ამოჭერით თქვენთვის სასურველი და დადეთ თქვენს თეფშზე.
5. შეატყობინეთ სხვებს, როდესაც გადაწყვეტთ, რომ საკმარისი რაოდენობა გაქვთ.
6. აიღეთ თქვენი ჭურჭელი და მოიკატუნეთ თავი, ვითომ ჭამთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:
  - საკვები; მაგალითად ქათამი, ყინული, ბანანი, ნამცხვარი.
  - ჭურჭელი: დანა, ჩანგალი, კოვზი, საჭმელი ჩხირები.
- იგებს მნიშვნელობას ჩემი, შენი.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: რიგრიგობით არჩევისას, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი საკვები პროდუქტი უფრო პოპულარულია, ვიდრე სხვები. შეგიძლიათ ტორტი იმისთვის აირჩიოთ, რომ შეამოწმოთ, განაწყენდება თუ არა ბავშვი, რადგან შეიძლება მასაც ტორტის არჩევა უნდოდა. შესთავაზეთ სალაპარაკო ენის ისეთი მოდელი, რომ მის ფიქრებს შეუსაბამოთ. ოჰ, შენ ტორტი გინდოდა. კარგი, არაუშავს, შენ შეგიძლია ტორტი აირჩიო. მე საზამთროც მომწონს.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: გააკეთეთ კომენტარი საკვების თითოეულ არჩევანზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს ყურადღება მიაქციოს ნაცვალსახელებს "ჩემი" და "შენი"; დახედე ჩემს თეფშს. ჩემს თეფშზე არის საზამთრო და ყველი. მე მომწონს შენი თეფში. ესეც შენი ტორტი და შენი სიმინდი.

მოსალოდნელი შედეგები

- გამოთქვამს საკვების სახელებს.
- აკეთებს აღნიშვნას: თეფში, ჭურჭელი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტი: თუ ბავშვს არ შეუძლია სპონტანურად აირჩიოს მისთვის სასურველი საკვები, ან მიიღოს გადაწყვეტილება, შესთავაზეთ ვარიანტები. დაასახელეთ ის, რომელსაც ფიქრობთ რომ ბავშვი ყველაზე ბოლოს გამოიყენებს. შენ გინდა ბანანი თუ ტორტი?

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: ბავშვების უმეტესობას უყვარს მაკრატლის გამოყენება და რაიმეს დაჭრის დიდი სურვილი. აიღეთ ხელში მაკრატელი და დაელოდეთ, სანამ ბავშვი სპონტანურად შეეცდება წარმოთქვას ან გაიმეოროს სასურველი საკვების სახელი.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის სიტყვის მნიშვნელობა "სხვა".

ძირითადი სტრატეგია

ყურადღებით მოუსმინე: როდესაც თითოეულს გექნებათ დამთავრებული ერთი სვლა, გამოაცხადეთ, რომ ახლა ყველას შეუძლია რამე სხვა აირჩიოს. საკვების სურათების აღებამდე, სთხოვეთ ბავშვს ჯერ ყურადღებით მოუსმინოს და ყოველთვის ესე გააკეთეთ, როცა ვინმე არჩევანს აკეთებს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. დაბეჭდეთ ყველასთვის საკმარისი თეფშებისა და ჭურჭლის რაოდენობა. ამოჭერით ჭურჭელი.

თითოეულმა მოთამაშემ უნდა აირჩიოს პერსონაჟი, დაარქვას მას სახელი და დაუმზადოს მას საჭმელი.

1. თეფშს იღებს ყველა.
2. თითოეული თქვენგანი აირჩევს ჭურჭელს სურვილისამებრ და განათავსებთ თქვენს თეფშებთან.
3. რიგრიგობით აღწერეთ ის პერსონაჟი, ვისი არჩევაც გსურთ, ამოჭერით საკვები და დააწებეთ ის თქვენს თეფშზე. დაარქვით თქვენ მიერ არჩეულ პერსონაჟს სახელი.
4. რიგრიგობით აირჩიეთ საკვები პროდუქტები მთავარი გვერდიდან, ამოჭერით თქვენთვის სასურველი საკვები, რომელსაც ირჩევთ თქვენი პერსონაჟისთვის და დააწებეთ თქვენს თეფშზე.
5. შეატყობინეთ სხვებს, როდესაც გადაწყვეტთ, რომ საკმარისი რაოდენობა გაქვთ.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი
- საბავშვო მაკრატელი და წებო

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ადამიანების აღწერილობებს.
- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას; სახელი + საკვები; ჯეკს უნდა სიმინდი.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: შეადგინეთ სასურველი ადამიანის აღწერა დაახლოებით 4 მოკლე წინადადების მეშვეობით. თითოეულ წინადადებაში მკვეთრად გამოყავით სიტყვები, რაც დაეხმარება ბავშვს იმის გარკვევაში, თუ რომელ პერსონაჟზეა საუბარი. მე ავირჩევ გოგონას. მას აქვს გრძელი თმა. მას აცვია მწვანე მაისური. მას აქვს 2 კიკინა.

სმენითი მეხსიერების შექმნა:ყოველი რიგის ბოლოს გადაითვალეთ, რათა დაეხმაროთ ბავშვს აითვისოს თითოეულ რიგში 2 საგანი. ჯეკს აქვს სიმინდი. ჯილს აქვს სუში და ვილის აქვს ქათამი.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს სახელს + საკვები; მაგალითად ჯეკის პური.
- აერთიანებს ზმნას: უნდა + საკვები პროდუქტები; მაგალითად: უნდა პური.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტი:თუ ბავშვს არ შეუძლია სპონტანურად აირჩიოს მისთვის სასურველი 2 საკვები, შესთავაზეთ ვარიანტები. დაასახელეთ ის, რომელსაც ფიქრობთ რომ ბავშვი ყველაზე ბოლოს გამოიყენებს. როგორ ფიქრობ, ჯეკს ბარდა უნდა თუ პური უნდა?

გავრცობა და განგრძობა: თუ ბავშვს შეუძლია ორსიტყვიანი კომბინაციის შედგენა, შემდეგ დონეზე გადასასვლელად მიაწოდეთ მას 3 სიტყვისგან შემდგარი მოდელი. ოჰ, ჯეკს პური უნდა.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზმნას: ფიქრი სხვისი საჭიროებების/სურვილების პროგნოზირებისას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაამატეთ სიტყვა ფიქრი რათა დაეხმაროთ ბავშვს განავითაროს გონების თეორიის უნარები. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით რა სურთ სხვა ადამიანებს, სანამ ისინი არ გვეტყვიან. ამ აქტივობაში შეგიძლიათ შექმნათ იდეა და სალაპარაკო ენის მოდელები, რათა დაეხმაროთ ბავშვს გაიგოს, რომ თუ ჩვენ რამე დანამდვილებით არ ვიცით - ეს ნორმალურია. შეგიძლიათ მიახვედროთ შემდეგი სიტყვების გამოყენებით;მე ვფიქრობ, მე მგონია...

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე. დაბეჭდეთ ყველასთვის თეფშებისა და ჭურჭლის 2 ეგზემპლიარი. ამოჭერით ჭურჭელი.

თითოეულმა მოთამაშემ უნდა აირჩიოს 2 პერსონაჟი, დაარქვას მათ სახელები და დაუმზადოს მათ საჭმელი.

1. ყველა იღებს 2-2 თეფშს.
2. თითოეული თქვენგანი აირჩევს ჭურჭელს სურვილისამებრ და განათავსებთ თქვენს თეფშებთან.
3. რიგრიგობით აღწერეთ ის პერსონაჟი, ვისი არჩევაც გსურთ, ამოჭერით საკვები და დააწებეთ ის თქვენს თეფშზე. დაარქვით თქვენ მიერ არჩეულ პერსონაჟებს სახელები.
4. ჯერ აირჩიეთ ერთ-ერთი პერსონაჟი და შემდეგ აირჩიეთ ამ პერსონაჟისთვის ორი საკვები პროდუქტი. ბავშვი და დედა რიგრიგობით ირჩევენ საკვებს ერთ-ერთი თავიანთი პერსონაჟისთვის.
5. შემდეგ თქვენ გაიმეორეთ სვლას მეორე პერსონაჟის თეფშით.

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 თეფში
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა3 ჭურჭელი
- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ2 დ3 ა3 ადამიანები
- საბავშვო მაკრატელი და წებო

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ადამიანების აღწერილობებს.
- ესმის რიგობით რიცხვითი ; პირველი/მეორე.
- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას; სახელი + საკვები და საკვები; ჯეკს უნდა სიმინდი დაბარდა.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება:შეადგინეთ სასურველი ადამიანის აღწერა რთული წინადადების მეშვეობით. თითოეულ წინადადებაში მკვეთრად გამოყავით სიტყვები, რაც დაეხმარება ბავშვს იმის გარკვევაში, თუ რომელ პერსონაჟზეა საუბარი. მე ავირჩევ გოგონას, რომელსაც აცვია მწვანე მაისური და რომელსაც აქვს გრძელი თმა და 2 კიკინა. .

სმენითი მეხსიერების შექმნა: ყოველი რიგის ბოლოს გადაითვალეთ, რათა დაეხმაროთ ბავშვს აითვისოს თითოეულ რიგში 3 საგანი. ჯეკს აქვს სიმინდი და ბარდა. ჯილს აქვს სუში და ვაშლის ნაჭრები , ხოლო ვილის აქვს ქათამი და სოკო.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს ზმნას საგანთან (მესამე პირის ზმნები) მაგალითად: უნდა, აქვს, მოსწონს, უყვარს, ურჩევნია, სჭირდება.
- იყენებს მრავლობით რიცხვს; მაგალითად: ბანანები, ვაშლები.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მიაწოდეთ სხვადასხვა ზმნის მაგალითები ვარიანტები გამოყენებით, რომლის გამოყენებასაც ბავშვი შეძლებს ამ აქტივობაში. შეგიძლიათ თქვათ, რომ ჯეკს უნდა ქათამი და მაკარონი, ან შეგიძლიათ თქვათ, რომ ჯეკს უყვარს ქათამი და მაკარონი.

გავრცობა და განგრძობა:თუ ბავშვი გამოტოვებს მრავლობითი რიცხვის მარკერს, გაუმეორეთ წინადადება მრავლობითზე აკუსტიკური აქცენტირებით და მისი წინადადების ბოლოში გადატანით. ოჰ, ვხედავ რომ ჯეკს უნდა ბრინჯი და ბანანები.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზმნას: ფიქრი სხვისი საჭიროებების/სურვილების პროგნოზირებისას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაამატეთ სიტყვა ფიქრი რათა დაეხმაროთ ბავშვს განავითაროს გონების თეორიის უნარები. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით რა სურთ სხვა ადამიანებს, სანამ ისინი არ გვეტყვიან. ამ აქტივობაში შეგიძლიათ შექმნათ იდეა და სალაპარაკო ენის მოდელები, რათა დაეხმაროთ ბავშვს გაიგოს, რომ თუ ჩვენ რამე დანამდვილებით არ ვიცით - ეს ნორმალურია. შეგიძლიათ მიახვედროთ შემდეგი სიტყვების გამოყენებით;მე ვფიქრობ, მე მგონია...

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საჭმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. გააკეთეთ საქმლის თეფში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჰანა ჭამს ძეხვეულს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე (დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ პატარა გამოვიდეს).

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად წაკითხვას.

1. დაჭერით გვერდები ოთხად და შეკარითო თხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი, მიუთითეთ გოგოზე და თქვით მისი სახელი. ჰანა.
3. აიღეთ მე-2 გვერდი, მიუთითეთ ლიამზე, თქვით მისი სახელი და განათავსეთ გვერდი მთავარი გვერდის ქვემოთ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა შემდეგი პერსონაჟის დასტის ბოლოში გადატანით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „და მე მიყვარს“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ ერთად წაიკითხეთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს წიგნს.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება:პირველ დონეზე მყოფი ბავშვი ძირითადად ყურადღებას გაამახვილებს თითოეულ გვერდზე არსებულ ბოლო სიტყვას - საკვებ პროდუქტს. ასევე შეგიძლიათ დაეხმაროთ მას ყურადღება მიაქციოს სახელებს მათი ფორმულირების შეცვლით; მაგალითად: ლიამი კბეჩს ხრაშუნა ბეკონს. მისი სახელია ლიამი. კი, ის ამბობს რომ ლიამი კბეჩს ხრაშუნა ბეკონს.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს განსხვავება ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის, რათა დაიწყოს იმის გაცნობიერება, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ცალკეულ სიტყვებს ყოველი წინადადებიდან.
- ცდილობს წარმოთქვას სახელები.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:წარმოთქვით ყოველი სახელი, რათა ბავშმა სცადოს გამეორება. თითოეული სახელი შედგება მინიმუმ ორი მარცვლისგან, რაც შესაძლებლობას აძლევს ბავშვს მოუსმინოს და შეეცადოს წარმოთქვას სხვადასხვა თანხმოვანი ბგერები. იგი მოსმენით განავითარებს საკუთარ აუდიტორულ უკუკავშირს, მოგისმენთ როგორ იტყვით სახელს და შემდეგ საკუთარ ნათქვამს თქვენსას შეადარებს.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: წაიკითხეთ თითოეულ გვერდზე მოცემული სიტყვები, ხელში დაიკავეთ მომდევნო გვერდი და სანამ გვერდს გადააბრუნებთ, დაელოდეთ ბავშვის მცდელობას წარმოთქვას ბოლო სიტყვა (საკვები პროდუქტი).

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული გვერდის წაკითხვისას ისაუბრეთ იმაზე, მოგწონთ თუ არა საკვები. სთხოვეთ ბავშვის დედას, ისაუბროს ოჯახის სხვა წევრზე და იმაზე, მოსწონთ თუ არა მათ თითოეული საკვები. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, გაგისინჯავთ თუ არა ეს საკვები და გინდათ თუ არა რომ გასინჯოთ იგი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჰანა ჭამს ძეხვეულს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე (დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ პატარა გამოვიდეს).

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და წაკითხვას.

1. დაჭერით გვერდები ოთხად და შეკარითო თხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი, მიუთითეთ გოგოზე და თქვით მისი სახელი. ჰანა.
3. აიღეთ მე-2 გვერდი, მიუთითეთ ლიამზე, თქვით მისი სახელი და განათავსეთ გვერდი მთავარი გვერდის ქვემოთ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა შემდეგი პერსონაჟის დასტის ბოლოში გადატანით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „და მე მიყვარს“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ ერთად წაიკითხეთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს წიგნს.
- მიჰყვება გვერდის გადაფურცვლის მითითებას.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: თითოეულ გვერდზე ისაუბრეთ ბავშვის სახელზე, შემდეგ კი გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება ტექსტში მოცემულ ზმნაზე და საკვებზე. მისი სახელია ლიამი. ლიამი კბეჩს ხრაშუნა ბეკონს.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს განსხვავება ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის, რათა დაიწყოს იმის გაცნობიერება, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას. სთხოვეთ ბავშვს გვერდის გადაფურცვლა.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს სიტყვებს ისტორიიდან.
- ავითარებს ზმნების სიტყვების მარაგს.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: წაიკითხეთ თითოეულ გვერდზე მოცემული სიტყვები, ხელში დაიკავეთ მომდევნო გვერდი და სანამ გვერდს გადააბრუნებთ, დაელოდეთ ბავშვის მცდელობას წარმოთქვას 2 სიტყვა (ან მეტი).

მომიახლოვდი:წიგნების ერთად კითხვა შესანიშნავი შესაძლებლობაა იყოთ ბავშვის აუდიო პროცესორთან ახლოს. ეს მანძილი გაუადვილებს ბავშვს ამ წიგნში ახალი ზმნების მოსმენასა და გაგებას.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული გვერდის წაკითხვისას ისაუბრეთ იმაზე, მოგწონთ თუ არა საკვები. სთხოვეთ ბავშვის დედას, ისაუბროს ოჯახის სხვა წევრზე და იმაზე, მოსწონთ თუ არა მათ თითოეული საკვები. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, გაგისინჯავთ თუ არა ეს საკვები და გინდათ თუ არა რომ გასინჯოთ იგი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჰანა ჭამს ძეხვეულს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე (დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ პატარა გამოვიდეს).

რესურსები

- ის, რასაც ჩვენ ვჭამთ - დ1 დ2 დ3 ა4

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და წაკითხვას.

1. დაჭერით გვერდები ოთხად და შეკარითო თხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი, მიუთითეთ გოგოზე და თქვით მისი სახელი: ჰანა.
3. აიღეთ მე-2 გვერდი, მიუთითეთ ლიამზე, თქვით მისი სახელი და განათავსეთ გვერდი მთავარი გვერდის ქვემოთ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა შემდეგი პერსონაჟის დასტის ბოლოში გადატანით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „და მე მიყვარს“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ ერთად წაიკითხეთ.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს სიტყვებს წიგნიდან.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი მეხსიერების შექმნა: მოთხრობის მონიტორინგი არის აქტივობა, როდესაც თქვენ ამბობთ მოკლე წინადადებას ან წინადადების ნაწილს და ბავშვი მას ზუსტად იმეორებს. ამ მოთხრობის წინადადებები მხოლოდ 3 სიტყვისგან შედგება, ამიტომ მესამე მყოფმა ბავშვმა უნდა შეძლოს სიტყვების გახსნება და მათ შორის ახალი სიტყვებიც.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს განსხვავება ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის, რათა დაიწყოს იმის გაცნობიერება, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს მრავლობით რიცხვს; მაგალითად ძეხვები.
- მესამე პირის ზმნები; მაგალითად: ჭამს, კბეჩს, ახრაშუნებს.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება:მესამე პირის ზმნები - რთული გრამატიკული მარკერებია. ის რბილი და და სწრაფია და ზოგადად წინადადების შუაშია. შეეცადეთ იგი ცოტა ხმამაღლა წარმოთქვათ, რათა გაუადვილოს ბავშვს არჩევანის გაკეთება. ლიამი კბეჩს ხრაშუნა ბეკონს.

მომიახლოვდი:წიგნების ერთად კითხვა შესანიშნავი შესაძლებლობაა იყოთ ბავშვის აუდიო პროცესორთან ახლოს. ეს მანძილი გაუადვილებს ბავშვს ამ წიგნში ახალი ზმნების და ზმნის დაბოლოებების მოსმენასა და გაგებას.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკვებთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: თითოეული გვერდის წაკითხვისას ისაუბრეთ იმაზე, მოგწონთ თუ არა საკვები. სთხოვეთ ბავშვის დედას, ისაუბროს ოჯახის სხვა წევრზე და იმაზე, მოსწონთ თუ არა მათ თითოეული საკვები. შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, გაგისინჯავთ თუ არა ეს საკვები და გინდათ თუ არა რომ გასინჯოთ იგი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. ჰანა ჭამს ძეხვეულს



ჰანა ჭამს ძეხვეულს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020





კარლო ტაკოს ახრამუნებს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ლიამი კბეჩს
ხრაშუნა ბეკონს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

დია ორცხობილას
ახრაშუნებს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



პაოლო ირჩევს
პიცას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ზარას ძალიან
უყვარს ბრინჯი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ისააკი ლაფშას
მირთმევს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020





ჰარი ჩიპსებს ჭამს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ემა ჭამს ბურგერს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



მიკა სუშის
მირთმევს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

და მე მიყვარს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00367 1.0